საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№112 (6338) 18 სექტემბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

შეხვედრა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან

როგორც განხრახული იყო, 15 სექტემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე შეხვდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნების მონაწილე პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ალოდგება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები, რომელმაც მრავალპარტიულობის საფუძველზე უნდა ჩამოაყალიბოს რესპუბლიკის ახალი პარლამენტი. დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს უზენაეს საბჭოში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, არჩევნების მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში.

გადასაწყვეტია მთელი რიგი ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური საკითხები, ყველა პარტიას შეექმნება თანაბარი პირობები პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მოაწყონ წინასაარჩევნო კამპანია. მთელ ამ პერიოდში აუცილებელია საარჩევნო კანონის ზუსტად დაცვა.

შეხვედრაზე გამომსვლელებმა საზგასმით აღნიშნეს, რომ მთელი ერის, რესპუბლიკის ღირსების საქმეა, არჩევნები ჩატარდეს დემოკრატიის, მშვიდობის, კონსტრუქციულ ვითარებაში სრულიად საქართველოს ინტერესების შესაბამისად. ამ ინტერესებმა უნდა გამორიცხოს პარტიული, ჯგუფური და პიროვნული დაპირისპირების მიუღებელი ფორმები, დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის შექმნის ცდები, რათა რესპუბლიკის მოსახლეობამ ნამდვილ დემოკრატიულ, თავისუფალ ვითარებაში გამოხატოს თავისი ნება და საქართველოს მომავალ პარლამენტში აირჩიოს მხოლოდ ღირსეული ადამიანები. როგორც ითქვა, მიზანშეწონილია არჩევნების მონაწილე ყველა პარტიამ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ გააკეთოს ერთობლივი განცხადება, რომ კისრულობენ პასუხისმგებლობას და ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს არჩევნების ნორმალურ ვითარებაში ჩატარებას.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტია, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის („დას"-ი), სახალხო ფრონტი, საქართველოს მწვანეთა პარტია, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მთიელთა პოლიტიკური პარტია, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი, სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტია, საქართველოს შრომის პარტია, საქართველოს ეროვნული თანხმობისა დაღორძინების კავშირი, საქართველოს აგრარული კავშირი, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია, საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი", საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი, საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული კავშირი, საქართველოს ლიბერალურ დემოკრატიული ეროვნული პარტია და საქართველოს სახალხო პარტია.

შეხვედრა შეაჯამა გივი გუმბარიძემ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პრესცენტრი

ყველამ უნდა იცოდეს

ჩვენი მიმოხილვა

ახლა ლეხუმში რთველისწინა პერიოდია, ვიდრე ყურძენი დასაკრეფი გახდებოდეს, სოფლის მშრომელები ხილის კრეფით არიან დაკავებული. თესლოვანი ხილის დამზადება ჯერჯერობით დაწყებული არაა, კურკოვანი ხილის რეზერვები თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ ისევ არის. დამამზადებელ პუნქტებს ისევ ბარდება ქანქური, ღოლონაშო, შინდი.

მიმდინარე წელს სულ 3130 ტონა კურკოვანი ხილი უნდა დამზადდეს რაიონის მშრომელთა მიერ. დღეისათვის 2536 ტონაა ჩაბარებული. ხილს ისე კარგად ესხა, შეფერხებები რომ არა, ახლა კურკოვანი ხილის დამზადების საგეგმო დავალება გადაჭარბებითაც კი იქნებოდა შესრულებული.

იქ, სადაც მაქსიმალურად გამოიყენეს შესაძლებლობები, ხილის ჩაბარების საქმეს ხელოვნური დაბრკოლებები არ შეუქმნეს, საქმეც კარგად წავიდა. კურკოვანი ხილის დამზადების თვალსაზრისით, ასეთ ლიდერად ითვლებიან ორბელის, ღვირიშის, წიფერჩას სასოფლო საბჭოების მოსახლეობას. აქტიურობენ ასევე ზუბისა და ოყურეშის სასოფლო საბჭოების მშრომელები. ასე ვერ ვიტყვით ტვიშის, ალპანის, ლაჩურიაშის სასოფლო საბჭოების მოსახლეობაზე, სადაც გეგმის შესრულებაში ჩამორჩენაა.

ხილის დამზადების საქმეში შეფერხებები ისევაა, ამაზე მეტყველებს თუნდაც ისიც, რომ გასულ ერთ კვირაში დამამზადებელ პუნქტებში მიტანილია 336 ტონა ხილი. ეს კი ძალზე ცოტაა. 20 სექტემბრიდან დამამზადებელი ორგანიზაციები თესლოვანი ხილის მიღებას იწყებენ, ამიტომ სწრაფად, უმოკლეს ხანში უნდა ჩაბარდეს კურკოვანი ხილის დარჩენილი რეზერვები, რომ თესლოვანი ხილის მიღება არ დაგვიანდეს და მოსახლეობამ საკარმიდამო მეურნეობის შემოსავალი არ იზარალოს.

ვაზი და საბაზრო ეკონომიკა

საქართველოს მევენახეები უმნიშვნელოვანესი ეტაპის ზღურბლზე დგანან: დაიწყო რთველი. ახლა ის ახალ პირობებში ჩაივლის. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება ამ სეზონიდან გაადიდოს ყურძნის ტექნიკური ჯიშების შესასყიდი ფასები. ამასთან მნიშვნელოვნად დიდდება თითქმის ორმაგად, ხოლო უნიკალურ ჯიშებზე—სამმაგად. გათვალისწინებულია აგრეთვე მშრომელთა დაინტერესება ხარისხიანი ყურძნის ჩაბარების მიზნით. მაგალითად, შაქრიანობის ერთი პროცენტით გადიდებისას შესასყიდი ფასი ხუთი პროცენტით იზრდება. გამოანგარიშებულია, რომ ეს კერძოდ მოიტანს დამატებით მოგებას, თვით დაბალი მოსავლიანობის დროსაც კი, როგორც ის იყო, მაგალითად, შარშან—150 მილიონი მანეთი, თუ მოსავლიანობამ შეადგინა 490 ათასი ტონა, როგორსაც წელს ელოდებიან, ეს ციფრი 220 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

—ეს მეტად დროული ღონისძიებაა,—თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილემ ნოდარ ჩხოლარიამ.—და იგი, უწინარეს ყოვლისა, იმ შედეგებით არის გამოწვეული, რომლებიც დარგს მიადგა ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის მიღების შედეგად. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვენახების ფართობების შემცირებასთან ერთად, რომელსაც ადგილი ჰქონდა კახეთში, გაუარესდა აგრეთვე მიღებული პროდუქციის ხარისხიც, შემცირდა საექსპორტო მოწოდებანი, აღარას ვამბობთ საქმის მატერიალურ მხარეზე. ყოველივე ეს მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს ეკონომიკას.

საიდუმლო როდია, რომ ცხოვრება დიდი ხანია ითხოვდა მევენახეობაში ფასწარმოქმნის სრულყოფას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესპუბლიკის ეკონომიკაში: არსებული შესასყიდი ფასები არ პასუხობდა არც

(დასასრული მე-2 გვერდზე).

გლეხური მეურნეობა: როგორი იქნება იგი?

დაწყებულ საქმეს — სასურველი დასასრული

კოლმეურნეობების გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მიზანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე, ნედლეულის წარმოების ზრდა და სოფლის მცხოვრებთა მატერიალური და კულტურული მომსახურების სრულყოფაა.

გლეხური მეურნეობა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებთან ერთად აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში ერთ-ერთ რგოლს შეადგენს. მეურნეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება სოციალისტური კანონმდებლობით.

გლეხური მეურნეობა შინაარსით და ფორმით კოლმეურნეობისაგან განსხვავებული ფორმაა. განსხვავებას საფუძვლად უდევს მეურნეობის მართვის მოდელები და შექმნილი პროდუქციის მოხმარების თავისებურება. ასე მაგალითად, საკოლმეურნეო სამუშაოები სრულდება კოლეგიალური ხელმძღვანელობით, მართვაში მონაწილეობს საკოლმეურნეო კრება, მმართველობითი აპარატი-გამგეობა, სარევიზიო კომისია, ბრიგადირები და უბნის ხელმძღვანელობა.

საკოლმეურნეო მართვაში ჩაბმული ყველა პირი წარმოების სფეროსთან უშუალო ფიზიკური შრომით დაკავშირებული არ არის. გლეხურიმეურნეობის მართვა გაერთიანებათა გარდა ინდივიდუალურ პრინციპებს ემყარება. აქ ხელმძღვანელობა და ფიზიკური შრომა ურთიერთშერწყმულია.

საკოლმეურნეო შრომის დროს შექმნილი პროდუქციის განაწილება წარმოებს კოლმეურნეობის ყველა წევრზე—ფიზიკურად დასაქმებულ და დაუსაქმებელ პირებზეც, საკოლმეურნეო აპარატის მუშაკებზე და სხვა. გლეხური მეურნეობის დროს შექმნილი პროდუქცია ნაწილდება მხოლოდ იმ წევრებზე, რომლებიც უშუალოდ დასაქმებული არიან წარმოების სფეროში. მატერიალურ წარმოების სფეროში შრომის პროცესი განაპირობებს მეურნეობის ყველა წევრის სრულ მატერიალურ უზრუნველყოფას. მწარმოებელი მის მიერ წარმოებული პროდუქციის ბატონ-პატრონია.

წარმოებულ პროდუქციაზე სრული საკუთრება გზას გაუხსნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვეს.

შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმა—გლეხური მეურნეობა, მისი არსი და პრინციპები სწორად იქნა გაგებული ორბელის კოლმეურნეობაში. გლეხებმა თავიდანვე სწორად განსაჯეს და გააანალიზეს ეს სიახლე და ერთსულოვნად მოითხოვეს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა. 1990 წლის 5 აგვისტოს ორბელის კოლმეურნეობის საერთო კრებამ, რომელსაც 260-ზე მეტი კოლმეურნე ესწრებოდა, დასახა ახლებური შრომის გზა და მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება გლეხური მეურნეობის შემოღების შესახებ. შეიქმნა კომისია 17 კაცის შემადგენლობით. კომისიამ შემოსავალში გაატარა კოლმეურნეთა 265 განცხადება. ეს კოლმეურნე წევრთა 99 პროცენტს შეადგენს, რომლებმაც ერთსულოვნად მოითხოვეს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა.

უკვე დასრულდა გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მსურველთა შორის აქამდე კოლმეურნეობის განკარგულებაში მყოფი სახნავ-სათესი ფართობების, ვენახის, სათიბის, ბაღის განაწილების საკითხი. უახლოეს დღეებში სასოფლო საბჭოს აღმასკომი ზემდგომ ინსტანციაში წარადგენს მასალებს გლეხურ მეურნეობაში ჩაბმულ პირებზე მიწის ნაკვეთის სახელმწიფო აქტებით მიმაგრების თაობაზე.

ასე რომ ორბელის კოლმეურნეობაში ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე დასრულდა ახლებურ შრომაზე გადასვლის მნიშვნელოვანი საქმე და ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის ამ სიახლესთან დაკავშირებული ყველა საქმე დამთავრებული იქნება. მიწა გადაეცემა მის ნამდვილ გულშემატკივარს, შემწესა და მეპატრონეს და 60-64 წლიანი ისტორიის მქონე საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა დადთარი სახელმწიფო არქივის კუთვნილება გახდება.

ვ. ჭაბუკიანი,
ორბელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ჩვენი წარდგინება

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უხუცესი პოლიტიკური ორგანიზაციაა.

პარტიის პირველი ყრილობა გაიმართა 1917 წლის ივნისში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი თავმჯდომარე იყო სპირიდონ კედია.

დამოუკიდებლობის პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გახლდათ საპარლამენტო პარტია, ხოლო უკუპაციის შემდეგ სწორედ ეროვნულ-დემოკრატებმა წამოიწყეს შეიარაღებული ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ.

1924 წლის აჯანყებაში ეროვნულ-დემოკრატები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ პარტიამ საქართველოს ტერიტორიაზე შეწყვიტა არსებობა: ეროვნულ-დემოკრატთა დიდი ნაწილი ფიზიკურად გაახადგურეს, მცირე ნაწილი კი საზღვარგარეთ აგრძელებდა მოღვაწეობას.

1981 წელს მოხდა ეროვნულ-დემოკრაციული პარტიის რესტაავრირება თბილისში, ხოლო 1983 წელს შედგა პირველი პარტიული დოკუმენტი.

1988 წლის ნოემბრის აქციის ორგანიზატორები ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ. სწორედ ამ აქციის შემდეგ მიიღო ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ ასეთი მასშტაბები.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ ექვსი დაპატიმრებულიდან, სამი ეროვნულ-დემოკრატი იყო (გიორგი ჭანტურია, ვანო ხუხუნაიშვილი, ირინა სარიშვილი), რითაც ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ შიშს, რაც მას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართ გააჩნდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (აღდგენის) დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა თბილისში, 1988 წლის ნოემბერ-დეკემბერში. პარტიის მეორე ყრილობა (კონგრესი) გაიმართა 1989 წლის 25—26 ნოემბერს. ყრილობებზე დამტკიცდა მთავარი კომიტეტის შემადგენლობა, მიღებულ იქნა პროგრამა-წესდება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი:

თავმჯდომარე — გიორგი ჭანტურია, ედპ-ს წევრი 1981 წლიდან;

პოლიტიკური მდივანი — მამუკა გიორგაძე ედპ-ს წევრი 1981 წლიდან;

პარტიის მდივანი — გურამ ჩახვაძე, ედპ-ს წევრი 1981 წლიდან;

პრეს-მდივანი — ირინა სარიშვილი, ედპ-ს წევრი 1988 წლიდან;

საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი — თენგიზ გუდავა, ედპ-ს წევრი 1988 წლიდან;

ვანო ხუხუნაიშვილი — ედპ-ს წევრი 1987 წლიდან;

გიორგი ახალაია — ედპ-ს წევრი 1988 წლიდან;

დავით კვარაცხელია — ედპ-ს წევრი 1982 წლიდან.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის III ყრილობა გაიმართება 1990 წლის ნოემბერში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს დემოკრატიული პარტია ერთიანი საარჩევნო ბლოკით გადიან ეროვნული კონგრესის არჩევნებზე.

ვაზი და საბაზრო ეკონომიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

შრომითს, არც მატერიალურ დანახარჯებს დარგში. ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა ჩვენს დღეებში—საიჯარო ურთიერთობის პირობებში და მით უმეტეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში იგი მუხრუჭი გახდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არა გვაქვს ისეთი მეურნეობები, სადაც შეიძლებოდა ამას ადგილი არ ჰქონდა, ან სანერგე მასალების წარმოება, რომელიც მუდამ გაუმჯობესებას მოითხოვდა, ან მეურნეობებისა და გადამმუშავებელ საწარმოთა სულაც არასაკმარისი ტექნიკური აღჭურვილობა. ახლა ჩვენ უკვე განახლების ფართო პერსპექტივები გვესახება.

—დარგში უკანსკნელ ხანს შეიქმნა ახალი მიმართულება. —მეურნეობებისა და საწარმოთა გაერთიანებები. როგორია ასეთი სინთეზის ეფექტიანობა?

—პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ასეთი გაერთიანებები უფრო თანამედროვეა. წარმოებისა და პროდუქციის გადამუშავების ერთ ხელში თავმოყრას არა მარტო არსებითი ეკონომიკური ეფექტი აქვს, არამედ შესაძლებლობასაც იძლევა გამოვიმუშაოთ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ისეთ ფირმებს, როგორიცაა: „ნაფარეული", „კარდანახი", „მანავი", „შრომა", უკვე დიდი ფულადი სახსრები აქვთ და მათ კარდინალური საკითხების გადასაწყვეტად იყენებენ. ვრცელდება ისეთი პრაქტიკაც, როცა ღვინის ქარხნებს იჯარით გადასცემენ. ბოლნისში, მაგალითად, ასეთმა საწარმომ მოკლე ვადაში შეძლო შესამჩნევად გაეუმჯობესებინა თავისი ეკონომიკა, გადაწყვიტა რიგი სოციალური პრობლემები. მაგრამ აქ ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საიჯარო საწარმოებს ჯერ კიდევ არა აქვთ მინიჭებული უფლება, რეალიზაცია გაუწიონ თავიანთ პროდუქციას. ეს საკითხი მოგვარებას მოითხოვს.

შესასყიდი ფასების გადიდება. თქვა დასასრულ ნ. ჩხოლარიამ, ხელს შეუწყობს უახლოეს დროში ამაღლდეს მევენახეობის დარგი განვითარების ახალ საფეხურზე, უმტკივნეულოდ დავნერგოთ დარგში საბაზრო ურთიერთობანი.

ადამიანები ჩვენს გვერდით

შრომით გამორჩეული

დღეს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა ყველა ჩვენთაგანის ვალია, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის განვითარებას იმ დონემდე, როგორიც აუცილებელია თავისუფალი საქართველოს არსებობისათვის. ყველამ, დიდმა თუ პატარამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ დიდ, საშვილიშვილო საქმეში.

მათ შორის, ვისაც თავისი აგური მიაქვს თავისუფლების ტაძართან, ამაყად მიაბიჯებს უსახელოელი შალვა ხეცურიანი, რომელმაც ხუთ ათეულ წელს გადააბიჯა და აქედან სამი ათეული წელი მიწასთან ბრძოლასა და გაჯიბრებაში გაატარა. მუდამ იყო მიწის გულშემატკივარი და პატრონი. შრომის ყველა ფორმას იყო შეგუებული. იჯარასაც ემადლიერებოდა. ახლა გლეხურ მეურნეობაზე გადადის და უკეთეს შედეგს მოელის.

მართლაც საოცარი შრომისმოყვარეობა და ადამიანური ხიბლი დაჰყოლია, გულგრილობა არ შეუძლია. ვერც საქმის მიფუჩეჩებას ეგუება. მისთვის უცხო როდია ზვარსა და ყანაში შემოღამება. უყვარს შემოდგომა, ვინ მოთვლის რამდენჯერ დამტკბარა უხვი მოსავლით. ახლა უნდა ნახოთ 0.2 ჰექტარი მტევნებდამძიმებული ზვარი, საიდანაც 2 ტონა ყურძენს მაინც მიჰყიდის ქვეყანას. მალე ჩატაროებულ ყანასაც ეწვევა. ნალიას დოვლათით აავსებს. ამის გარდა 0.3 ჰექტარი საკარმიდამოც საუკეთესო მოვლილი აქვს. შალვას მიწის სიყვარულში ტოლს არ უდებს მეუღლე ნელი გოდერიძე, რომელიც ოცდათოთხმეტი წელია ლაჯანის საავადყოფოში მუშაობს რენტგენო-ლაბორანტად. მან ბევრი ახლოვს თეთრად გათენებული ღამე. აბა, სამსახურთან ერთად 30 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ჩაბარება ადვილი საქმე როდია. ამასთან ოჯახში უთვალავი საქმე აქვს. ხუთი სული მსხვილფეხა პირუტყვი გამოდის ხეცურიანების ოჯახიდან, რომელთა გამოსახამთრებლად შალვას თივა უკვე დამზადებული აქვს. ოჯახი ხამეტ პროდუქტებს ყოველწლიურად ჰყიდის ქვეყანას.

ჩვენც გვეამაყება ასეთი ოჯახები ხოლ ერის ძლიერების მთავარი წყაროა.

შალვამ და ნელიმ შვილებიც შრომისმოყვარენი გაზარდეს. ნატო თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტია, კობამ სატყეო ტექნიკუმი დაამთავრა და სპეციალობით მუშაობს.

დაუღალავი მშრომელი შალვა ხეცურიანი საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდობისთვის, მთელი სოფლისთვის.

ბ. კაჭკაჭაშვილი.

შეიქმნა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია

ახალი კანონები გვთავაზობს

ჩვენი გაზეთის მკითხველმა საჭიროა იცოდეს, რომ შეიქმნა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციები. მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონში, რომელიც გამოქვეყნდა. ჩვენს რაიონშიც შესაბამისად, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას გამოეყო საგადასახადო სამსახური. ეს სამსახური დაკომპლექტდა ახალი შტატებით და სერიოზული ფუნქცია აკისრია საგადასახადო სამსახურის სწორი წარმართვისათვის, საბოლოოდ რაიონის მუშამოსამსახურეთა სწორი მომსახურების თვალსაზრისით.

კანონში „სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფლებამოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესახებ" ამ სამსახურის მუშაკებს უფლება ეძლევათ შეამოწმონ მათდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივ საწარმოებში, ორგანიზაციებში ფულადი დოკუმენტები, საბუღალტრო დავთრები, ანგარიშები, გეგმები, ხარჯთაღრიცხვები, დეკლარაციები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გამოანგარიშებასა და ბიუჯეტში გადახდასთან, მიიღონ დაბეგვრის მიზნებისათვის საჭირო ცნობები და დოკუმენტები, გამოიკვლიონ ყოველი საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა შენობები, რომლებიც გამოიყენება შემოსავლის მისაღებად ან დაკავშირებულია დაბეგვრის ობიექტების შენახვასთან, კონტროლი დააწესონ სავალდებულო გადასახდელებზე, აღმოფხვრან ამ საქმეში დარღვევები.

საგადასახადო ინსპექციის უფლებებში შედის ადმინისტრაციული ჯარიმების გავრცელება ორგანიზაციებზე, თანამდებობის პირებზე, რომლებიც დარღვევებს დაუშვებენ საგადასახადო მუშაობაში, საბუღალტრო ანგარიშებში, ბალანსებში, დეკლარაციებში და ა. შ.

როგორც ზემოთ ვთქვით, საგადასახადო ინსპექციას უფლებების პარალელურად მოვალეობებიც და პასუხისმგებლობაც დიდი და სერიოზული აკისრია. განუხრელად უნდა იცავდნენ კონსტიტუციის კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, ორგანიზაციათა და ადამიანთა უფლებებსა და ინტერესებს.

„საგადასახადო ინსპექციები ვალდებული არიან თავიანთი მუშაობა წარმართონ ახლადმიღებული კანონების სიზუსტით. ერთ-ერთი ასეთია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი„ სსრ კავშირის უცოლშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის ეტაპობრივი გაუქმების შესახებ". ეს კანონი გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 12 მაისს გაზეთ „კომუნისტში" და ვიდრე ჩვენ სპეციალურ დებულებას მივიღებდეთ, ვთხოვთ საბუღალტრო სამსახურის მუშაკებს ადგილებზე იხელმძღვანელონ ამ კანონით. იგი ითვალისწინებს 1990 წლის 1 ივლისიდან გაუუქმდეს საშემოსავლო გადასახადი უცოლშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეებს, რომლებიც ძირითად სამუშაო ადგილზე იღებენ ხელფასს და სხვა სახეობის ფულად გასამრჯელოს არაუმეტეს 100 მანეთისა თვეში.

შეუმცირდეთ გადასახადები აგრეთვე უცოლშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეებს, რომლებიც სამუშაო ადგილზე იღებენ ხელფასს და სხვა სახეობის გასამრჯელოს და გადასახდელს 10-დან 150-მანეთამდე დაუწესდეს განაკვეთები (მოცემული სპეციალური ცხრილით).

1991 წლის 1 იანვრიდან ე. წ. უშვილობის გადასახადი გაუქმდება ქალებზე, რომლებიც ქორწინებაში არიან და შვილები არ ჰყავთ, 1992 წლის 1 იანვრიდან კი ეს შეღავათი გავრცელდება მამაკაცებზეც, რომლებიც ქორწინებაში არიან და შვილები არ ჰყავთ.

1993 წლის 1 იანვრიდან კი მთელს სსრ კავშირში გაუქმდება უცოლშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადი.

მაშ ასე, ფინანსთა სამინისტროს ახალი ინსტრუქციის მიღებამდე ვიხელმძღვანელოთ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული კანონით.

მ. გუგავა,

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსი ცაგერის რაიონში.

მოდის ახალი სასწავლო წელი

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიურ კოლექტივს ღრმად სწამს, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის საჭიროა ახლოს მივიდეთ თითოეულ მოსწავლესთან, გავითვალისწინოთ თითოეულის უნარი, შესაძლებლობა და ინტერესები. ამის საუკეთესო საშუალება კი მოგვცა პროფილირებულმა სწავლებამ, რომელიც თავისი შინაარსითა და სულისკვეთებით პასუხობს დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის იმ მოთხოვნებს, რასაც აყენებს ცხოვრება თანამედროვე სკოლის წინაშე.

მოსწავლეს უნდა სჯეროდეს ჩვენი, სწამდეს ჩვენი მხარდაჭერის, მიგვიჩნევდეს უფროს მეგობრად, სწორედ ეს წაუძღვება წინ, როგორც მეცნიერების საფუძვლების წვდომაში, ისე სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში. მხოლოდ ასეთი სიტუაციის შექმნის შემდეგ გვეძლევა საშუალება სწავლებაში სასურველი შედეგის მიღწევისათვის.

უცხო არ არის, რომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები ყოველწლიურად წარმატებით აბარებენ მისაღებ გამოცდებს და სწავლას აგრძელებენ რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩვენს სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის პროფილით სწავლება მიმდინარეობს მე-10-11 კლასებში. ბევრჯერ აღგვინიშნავს, რომ გაცილებით უკეთესი შედეგები გვექმნება თუ ამ საგნის პროფილით სწავლება დაიწყებოდა მე-9 კლასიდან. სწორედ, წელს პირველად გვეძლევა შესაძლებლობა სწავლება დავიწყოთ ფიზიკა-მათემატიკური პროფილის სამწლიანი ციკლის სასწავლო გეგმის მიხედვით. ე. ი. ფიზიკა-მათემატიკის პროფილით სწავლებას დავიწყებთ მე-9 კლასიდან.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა ძირითადად მომზადებულად და ორგანიზებულად იწყებს. იგი დაკომპლექტებულია კვალიფიცირებული კადრებით და შესაფერისი მოსწავლეთა კონტიგენტით, შემოზიდულია სასწავლო თვალსაჩინოებანი. ჩვენი ძალებით შეკეთდა და გალამაზდა სასწავლო ნივთებით და სახელმძღვანელოებით. დიდ იმედს ვამყარებთ ზუგდიდის ცელულოზა—ქაღალდის კომბინატზე, რომელსაც თხოვნით მივმართეთ და ალბათ სათანადო დახმარებასაც გაგვიწევს.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, სკოლა-ინტერნატს კვლავაც ბევრი პრობლემა რჩება გადასაჭრელი, რისთვისაც მოვითხოვეთ და მოველით კიდეც შესაბამისი ორგანიზაციებისაგან დახმარებას. უპირველეს ყოვლისა, მოძველებულია და აუცილებელ შეცვლას საჭიროებს ელექტროგაყვანილობა თითქმის ყველა კორპუსში. ყველა შენობა გადახურულია თუნუქით და აუცილებლად საჭიროა მათი გადაღებვა წინააღმდეგ შემთხვევაში სახურავები დაზიანდება კოროზიისაგან და მომავალში ალბათ მათი შეცვლის საჭიროება დადგება დღის წესრიგში. გადასახურავია სასადილოს ფოიე, იგი კაპიტალურად უნდა შეკეთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაიშალოს და გაუქმდეს, რაც საგრძნობლად შეუშლის ხელს ინტერნატში სწავლა-აღზრდის ნორმალურად წარმართვას. ვინ იცის, მერამდენედ ვსვამთ საკითხს იმის თაობაზე, რომ სკოლა-ინტერნატს არ გააჩნია საქტო დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნება რაიმე ღონისძიებების ჩატარება.

ჩვენი სკოლა-ინტერნატის პედკოლექტივი ძალიან მტკივნეულად განიცდის იმ გარემოებას, რომ საძინებელი კორპუსები მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. გვიჭირს შევუქმნათ აღსაზრდელებს ოჯახური გარემო ინვენტარის ნაკლებობის გამო. წლების მანძილზე არ შემოზიდულა მაგარი ინვენტარი, რადგან არ გაგვაჩნია შესაბამისი თანხა. საჭიროა აგრეთვე გაიზარდოს ფულადი თანხების რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებული იქნება აღსაზრდელთა ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და სხვა პირადი ნივთების შეძენისათვის, მით უმეტეს ახლა, როცა საგრძნობლად გაიზარდა მათი საცალო ფასები. ვთხოულობთ მეტ ყურადღებას პროფილირებული სკოლის შესაბამისი სახელმძღვანელოებით და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის. არ იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენი ბავშვებისათვის აგებულიყო კეთილმოწყობილი საცურაო აუზი, რომლითაც არამარტო ჩვენი სკოლის, არამედ ლაჯანურის ზონის ბევრი ბავშვი ისარგებლებდა.

ნ. გოგიძე.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია

მოგეხსენებათ, რომ პროფილირებული სკოლის მიზნების შესრულებისათვის კლასები უნდა დაკომპლექტდეს შესაბამისი ცოდნის, უნარის და ინტერესის მქონე მოსწავლეებით. როცა მოსწავლე სკოლას ამთავრებს, მან უნდა გადაწყვიტოს რა გზა აირჩიოს, ამ გზის არჩევაში კი მასწავლებელი უნდა დეხმაროს.

ჩვენი სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივის სახელით ვთხოვთ რაიონის ყველა სკოლის პედკოლექტივს, თითოეულ პედაგოგს, რომ სწორი არჩევანი გაკეთებინონ თავიანთ მოსწავლეებს, ჩვენი სკოლისაკენ გაუხსნან გზა არა მარტო მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ საგნის ღრმა შესწავლით, არამედ აქვთ კიდეც უნარი და საკმარისი ცოდნა.

ყველა სასწავლო კაბინეტი, გარემონტდა სპორტდარბაზი, გათბობის სისტემა, მიმდინარეობს ახალი ქვაბის დამონტაჟება და მიწისქვეშა მილგაყვანილობის ნაწილობრივ შეცვლა. შემოზიდულია 6000 მანეთის რბილი ინვენტარი, დამონტაჟებულია ბენზინზე მომუშავე მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური, რომელიც გამოიმუშავებს დაახლოებით 5-6 კილოვატი სიმძლავრის ენერგიას, რაც საკმარისი იქნება მხოლოდ სასადილოსა და საძინებელი კორპუსების ნაწილობრივი განათებისათვის, მაგრამ მაინც დიდ შეღავათს მოგვცემს და გვიხსნის იმ საშინელი ჯოჯოხეთისაგან, რასაც სკოლა-ინტერნატში ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა იწვევს. მზად ვართ წლის დასაწყისში უზრუნველვყოთ მოსწავლეები აუცილებლად საჭირო

ამ ქველმოქმედებაზე მეტია

ქართული ხალხური სიმღერის პროპაგანდას ნაკლები ადგილი უჭირავს. ოჯახებში სულ უფრო და უფრო იკლო ხალხური სიმღერისადმი სიყვარულმა, სამაგიეროდ, იცოცხლეთ, მომრავლდა მუსიკალურ ფონოგრამებში საზღვარგარეთის ესტრადის ჩანაწერები.

ისე, როგორც საქართველოს ყველა კუთხეს, ლეჩხუმსაც აქვს საკუთარი ხალხური სიმღერები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და თავისი შინაარსითა და ჟღერადობით უძღებდა ჟამთა სვლას. ჩვენს ამ პატარა ეთნოგრაფიულ კუთხეში ბევრი ხალხური სიმღერა თუ გალობა შეუქმნიათ, რომლებიც საქართველოს სხვა მხარეშიც იმღერება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ლეჩხუმში გალობები და სიმღერები სრულდებოდა შრომის, ქორწილის, ნათლობის, ნადირობის და სხვა დღესასწაულების შესატყვისად. მომღერლები იყოფოდნენ ორ ჯგუფად და იმართებოდა „შეჯიბრი“ ერთი და იგივე სიმღერის თუ გალობის შესრულებიმან დიდი შრომა გასწია ამ მამულიშვილურ საქმეში. ანსამბლი „სალხინო“, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, დაკომპლექტებული იყო საუკეთესო შემსრულებლებით, მათ შორის იყვნენ შოთა გასვიანი, ვალიკო, რაფიელ კოპალიანები, დიმიდე ჭაბუკიანი, გივი ასათიანი, ბორის ხეცურიანი, ჯანუბი ხვადაგიანი, გურამ ჩარკვიანი, ვახტანგ გუგავა, აწგანსვენებულნი გრიშა საღინაძე, ალიკო გოგიძე აბელ, მიხეილ, გრიგოლ კოპალიანები და სხვები. მაგრამ არ ჰქონდა რა სათანადო ყურადღება და მხარდაჭერა, ანსამბლი პერიოდულად მუშაობდა და ბოლოს შეწყდა ლეჩხუმური ფოლკლორული სიმღერების წარმოჩენა-შენარჩუნება. სამწუხაროდ ბევრი დავიწყებას მიეცა, რადგან შემსრულებლებიც უკვე ცოცხლები აღარ არიან.

1974 წელს მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან დაიწყო მუშაობა ანსამბლის ახალმა შემადგენლობამ. აღდგენილ და დამუშავებულ იქნა 12 სიმღერა, რითაც მონაწილეობდა რაიონულ თუ რესპუბლიკურ

სამეცნიერო - ტექნიკური შემოქმედება

გამოცდას გადიან



მარეთის ასსრ. მარეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ბიურო'ში დაამზადეს პრინციპულად ახალი და ეკონომიურად მომგებიანი ყველგანმავალი მანქანები „როსომახა“ და „პატრული“ ზედაბალი წნევის საბურავებზე. ისინი კონსტრუქციულად მარტივია და სერიული გამოშვების შემთხვევაში ძვირი არ ეღირება. ახალი მანქანები ძალიან სარგებლიანი იქნება მენავთობეებისათვის, გეოლოგებისათვის, ელექტროგადამცემისა და ნავთობგაზის გამტარი ხაზების შემომვლელებისათვის, მწყემსებისათვის. მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს: ჭაობი, მდინარე, თოვლი, ქვიშა. მანქანები პრაქტიკულად კვალს არ ტოვებენ რბილ ნიადაგზე. „როსომახას“ შეუძლია აიყვანოს ძარაზე 3 კაცი და გადაზიდოს 50-60 კილოგრამი ტვირთი, ხოლო „პატრულს“ ადამიანთა დიდი ჯგუფი და ერთ ტონამდე ტვირთი.

ახლა ყველგანმავალი მანქანები გამოცდას გადიან.

სურათზე: მანქანა „პატრული“ ზედაბალი წნევის საბურავებზე.

ვ. ასკოჩენკოს ფოტო.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

აღვადგინოთ ლეჩხუმური ფოლკლორი

ქართულმა ხალხურმა სიმღერამ მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო და შექმნა მრავალხმიანობის სხვადასხვა ფორმა. დახვეწილი მუსიკალურობა, ხალხური სიბრძნე ამ სიმღერებს მსოფლიო კულტურის დონეზე აყენებს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელ დროში ქართული ხალხური სიმღერის პროპაგანდას ნაკლები ადგილი უჭირავს. ოჯახებში სულ უფრო და უფრო იკლო ხალხური სიმღერისადმი სიყვარულმა, სამაგიეროდ, იცოცხლეთ, მომრავლდა მუსიკალურ ფონოგრამებში საზღვარგარეთის ესტრადის ჩანაწერები.

ისე, როგორც საქართველოს ყველა კუთხეს, ლეჩხუმსაც აქვს საკუთარი ხალხური სიმღერები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და თავისი შინაარსითა და ჟღერადობით უძღებდა ჟამთა სვლას. ჩვენს ამ პატარა ეთნოგრაფიულ კუთხეში ბევრი ხალხური სიმღერა თუ გალობა შეუქმნიათ, რომლებიც საქართველოს სხვა მხარეშიც იმღერება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ლეჩხუმში გალობები და სიმღერები სრულდებოდა შრომის, ქორწილის, ნათლობის, ნადირობის და სხვა დღესასწაულების შესატყვისად. მომღერლები იყოფოდნენ ორ ჯგუფად და იმართებოდა „შეჯიბრი“ ერთი და იგივე სიმღერის თუ გალობის შესრულებისას. ლეჩხუმური სიმღერა თითქმის ყველა ორბუნია (ასე იწოდებოდა).

50-იანი წლების შემდგომ პერიოდში ლეჩხუმური სიმღერების აღდგენასა და პოპულარიზაციაზე დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა აწგანსვენებული დავით ზოსიმეს ძე კოპალიანი. ღონისძიებებში, იყო წარმატებებიც, მაგრამ ანსამბლი ისევ დაიშალა. არადა ამ საშვილიშვილო საქმეს, ლეჩხუმური ფოლკლორის შენარჩუნებას, მონდომება და დაუოკებელი ჟინი სჭირდებოდა. და აი, 1989 წელს გამოჩნდნენ ენთუზიასტები—კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მუშაკი გრიგოლ ბენდელიანი და ქალაქის ბაზრის ვეტექიმი დავით საღინაძე. შეადგინეს სია, ორგანიზაცია გაუკეთეს და ის იყო მუშაობა უნდა დაეწყოთ ავად მოსაგონარმა 9 აპრილმა ყველას ხალისი დაუკარგა. გავიდა ერთი წელი და ანსამბლის წევრები შეიკრიბნენ. მათი მუშაობის მიზანი ასეთია: აღადგინონ ლეჩხუმური ხალხური სიმღერები, ფირზე ჩაწერონ და ამით შთამომავლობას შეუნახონ. ანსამბლს „ლეჩხუმი“ ჰქვია, მას სათავეში ჩაუდგა პენსიონერი რაფიელ კოპალიანი, რადგან მან გადმოცემით, მამის პლატონ კოპალიანისაგან იცის ლეჩხუმის რომელ კუთხეში, რა რიტუალის დროს სრულდება ესა თუ ის სიმღერა, ანსამბლის შემადგენლობაში არიან: გრიგოლ ბენდელიანი, ოთარ დავითულიანი, რაფიელ, თამაზ, ვილგემ კოპალიანები, მირზა ლიპარტელიანი, დავით, ოთარ, ჯუმბერ საღინაძეები, გუჯა ჩაკვეტაძე, ჯონი ხალიანი. სამეცადინოდ კულტურის სახლში ერთი ოთახი გამოეყოთ. მათ დღემდე უკვე შეკრიბეს და შეისწავლეს 11 სიმღერა. ეს

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეს ქვეყნიერ ქმედებაზე მეტია

(დასასრული).

...ოცდა ... ...